

კომუნიკე

მარადიული ღირებულებები კაცობრიობის განვითარების უტყუარი ორიენტირებია. მარადიულ ღირებულებებთან დაცილებისას ხდება მათი ჩანაცვლება ფსევდოღირებულებებით. დღეს კაცობრიობა მოცულია ძირითადად მიწიერი და მატერიალური პრობლემებით და სულიერი და ზნეობრივი საკითხები თითქმის აღარ ახსოვს. ინტელექტის სულიერებისაგან დაცილების ვითარებაში მატერიალურ-ტექნიკური მიღწევებს არასწორად იყენებენ, რაც იწვევს საზოგადოების ცალმხრივად განვითარებას.

სულიერებისაგან დაცილებამ წარმოშვა აგრესიული სეკულარიზმი, რომელიც უარყოფს რელიგიის როლს საზოგადოების ცხოვრებაში. სულიერების განდევნამ საზოგადოებრივი ცხოვრებიდან კაცობრიობა დააყენა რეალური კატასტროფის წინაშე – აგრესიისა და სასოწარკვეთილების უკიდურესმა ფორმებმა საფრთხე შეუქმნა სიცოცხლის არსებობას დედამიწაზე.

II ს-ის ბოლოდან მოყოლებული თვით არარელიგიური მსოფლმხედველობის წარმომადგენლებიც კი საუბრობენ რელიგიური და საერო ცხოვრების დაახლოების, ანუ პოსტსეკულარიზმის აუცილებლობაზე.

II საერთაშორისო კონფერენციის მონაწილენი გამოვთქვამთ იმედს, რომ თანამედროვე საზოგადოება სწორად შეაფასებს არსებულ საფრთხეს და არ დაიშურებს ძალისხმევას აღადგინოს სულიერების როლი საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში.